

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო



საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო

ეროვნული უშიშროების საბჭოს სტატუსი:

- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო არის კონსტიტუციური ორგანო.
- მისი შექმნა და სტატუსი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, კერძოდ, კონსტიტუციის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“.
- ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული საკითხები უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მოსამზადებლად.

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არის: საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი; საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას; საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში.

საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში:

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად:


- საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი;
- საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას;
- საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი;
- საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში;
- საქართველოს პრეზიდენტი საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;
- საქართველოს პრეზიდენტი ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფის და ეპიდემიის დროს, ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ ქვეპუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

- საქართველოს პრეზიდენტი საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს შესაბამისად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე; ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს;
- საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებით, პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას;
- საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოსცემს დეკრეტს, ბრძანებულებას, განკარგულებას, აგრეთვე, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, – ბრძანებას;
- საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს უმაღლეს სამხედრო და სპეციალურ წოდებებს;
- საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, მთავრობასთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს;
- საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებს სამხედრო ძალების სტრუქტურას;
- საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად;
- საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება

ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს:

- საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას;
- საკითხებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სამხედრო აღმშენებლობას და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციას;
- საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში საომარი მდგომარეობის გამოცხადების და სათანადო პირობების არსებობისას ზავის დადების საკითხებს;
- ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფის და ეპიდემიის დროს, ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას,
- ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხს;
- საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის საკითხს;

- 
- სამხედრო ძალების სტრუქტურას და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს;
 - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსისა და სხვა მხედართმთავრების თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გადაყენების საკითხებს;
 - საერთაშორისო კონფლიქტების ზონებში არსებულ მდგომარეობას და კოლექტიური თავდაცვის სისტემებთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს;
 - საქართველოს მიერ დადებული ან აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად ქვეყნის საზღვრების გარეთ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობის საკითხებს;
 - სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალების შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების საკითხებს;
 - სამხედრო ძალების საბრძოლო მზადყოფნის საკითხს;

ეროვნული უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ერთ საკითხზე, კერძოდ:

ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წევრთა 2/3-ის უმრავლესობით და მას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენასთან ერთად.

ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა და სხდომა:

- ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი.
- საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც არ არიან ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე დასასწრებად საქართველოს მთავრობის წევრი (გარდა მუდმივი წევრებისა), საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი/საქართველოს მთავრობისადმი დაქვემდებარებული უწყების ხელმძღვანელი მოიწვევა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, ხოლო საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე (გარდა მუდმივი წევრებისა) – საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან:

- საქართველოს პრემიერ-მინისტრი
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი
- საქართველოს თავდაცვის მინისტრი
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი
- საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე
- საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი
- საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი
- საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ საკითხის განხილვის წესი:

- ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას იწვევს საქართველოს პრეზიდენტი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, როგორც წესი, დახურულია.
- საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა შეიძლება ღიად გამოცხადდეს;
- ეროვნული უშიშროების საბჭო განსახილველ საკითხზე შეიმუშავებს წინადადებას და მას წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს;
- საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, გამოსცემს შესაბამის აქტს.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი კონტრასიგნაციას არ საჭიროებს.

ეროვნული უშიშროების საბჭო და საომარი მდგომარეობა

- „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საომარი მდგომარეობის შედეგების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სამუშაოთა კოორდინაცია ევალება საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს.
- საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტი - საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი საომარი მდგომარეობის მართვას ახორციელებს ეროვნული უშიშროების საბჭოს დახმარებით.

საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი

- ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ანგარიშვალდებულია **მხოლოდ** საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.


ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი:

- როგორც საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი, მონაწილეობს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის პროექტების შემუშავებაში;
- ორგანიზებას უწევს ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობას;
- ხელმძღვანელობს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს;
- ამზადებს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს;
- ეროვნული უშიშროების საბჭოს სახელით დებს ხელშეკრულებებს საექსპერტო-ანალიტიკურ სამუშაოთა შესრულების შესახებ;
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელს აწერს სამსახურებრივ დოკუმენტებს;
- დადგენილი წესით ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის ცალკეულ დავალებებს;

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი:

- ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო ინფორმაციაზე მომუშავე განსაკუთრებული მნიშვნელობის რეჟიმის დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას.
- ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო განრიგს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სტრუქტურა



ანალიტიკური საქმიანობა:

- ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ანალიტიკურმა გუნდმა ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოუშვა 102 ვრცელი ანალიტიკური დოკუმენტი.
- ანალიტიკური დეპარტამენტი მუდმივად აკვირდებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მეზობელ ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთში, ევროკავშირსა და აშშ-ში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს;
- ცალკეულ შემთხვევებში, საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ანალიტიკური დეპარტამენტი აკვირდებოდა მოვლენებს ლათინურ ამერიკაში, შორეულ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში;


საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს უშიშროებისა და ანალიტიკის დეპარტამენტი საქართველოს სახელმწიფო აპარატში იყო და რჩება ერთადერთ სტრუქტურულ ერთეულად, რომელიც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივ წევრს მუდმივად აწვდის ანალიტიკურ მასალას მსოფლიოში მიმდინარე უსაფრთხოების მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

დეპარტამენტის ანალიტიკური დოკუმენტების ადრესატები უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების გარდა არიან სხვადასხვა თანამდებობის პირები, როგორც საკანონმდებლო, ისე არმასრულებელ ხელისუფლებაში.

აპარატი და სტრატეგიული დოკუმენტები:

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი მონაწილეობს ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების პროცესში, როგორებიცაა:

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია
- საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი
- უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიები
 - თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა
 - ეროვნული სამხედრო სტრატეგია
- ეროვნული თავდაცვის გეგმა

The background of the slide features the official seal of the Parliament of Georgia. It is a circular emblem with a purple outer ring containing the text 'საქართველოს პარლამენტი' (Parliament of Georgia) in Georgian. The center of the seal is a red shield with a white cross, overlaid with a golden crown and a silver figure of a knight on horseback holding a spear and shield. The shield is divided into four quadrants by the cross.

მიმდინარე პროექტები:

- ეროვნული უშიშროება - ერთიანი ეროვნული მიდგომა
- თბილისის სტრატეგიული დისკუსიები